საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-13/10217
27/10/2021

10217-15-13-2-202110271030

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა დაზარალებული ჟურნალისტის [redacted] საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი [redacted], [redacted] და [redacted] მიმართ. მოცემულ ეტაპზე, ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო.

განაჩენის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრის ეტაპზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები, რამაც საბოლოოდ შესაძლოა ხელი შეუშალოს სასჯელის მიზნების აღსრულებას. ამასთანავე, რამდენადაც წინამდებარე საქმე შეეხება ჟურნალისტის მიმართ, მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებს, მასზე მიღებულმა საბოლოო გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყანში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე.

მოგეხსენებათ, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოში“.[1]

ვსარგებლობ რა მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

ფაქტობრივი გარემოებები

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენით:

- [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 (ას ორმოცდაათი) საათის ვადით. მისი სასჯელის მოხდის ვადა დაეწყო დაკავების დღიდან და იგი განაჩენის გამოცხადებისთანავე გათავისუფლდა სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან.
- [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და სსკ-ს 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. საბოლოოდ, [redacted] დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 (ას ორმოცდაათი) საათის ვადით. [redacted] სასჯელის მოხდის ვადა დაეწყო დაკავების დღიდან და იგი განაჩენის გამოცხადებისთანავე გათავისუფლდა სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან.
- [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით. [redacted] სასჯელის მოხდის ვადა დაეწყო დაკავების დღიდან და იგი განაჩენის გამოცხადებისთანავე გათავისუფლდა სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან.

მოცემული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლომ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაყრდნობით[2] დაადგინა, რომ 2021 წლის 25 თებერვალს, დაახლოებით 02:30 საათზე, [redacted] მიმდებარე

---

[2] სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული [redacted] ჩვენებით, სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული [redacted], [redacted], [redacted] ჩვენებები, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული სამაშველო სამსახურის თანამშრომლების [redacted], [redacted], [redacted] და [redacted] ჩვენებებით, მოწმე [redacted] ჩვენებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 19 მარტის [redacted] დასკვნით და სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის [redacted] ჩვენებით, სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების [redacted] და [redacted] ჩვენებებით, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ვიდეო-ჩანაწერით.

ტერიტორიაზე, [redacted], [redacted] და [redacted] ერთად, პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჟურნალისტური საქმიანობის გამო, ტელეკომპანია [redacted] ჟურნალისტს [redacted] მიმართ განახორციელა დევნა, ძალადობით. ზემოაღნიშნული პირები თავს დაესხნენ [redacted] [redacted] და წააქციეს, რის შემდგომაც ისინი ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ თავისა და ტანის არეში, რა დროსაც [redacted] მიაყენეს ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მის მოუშლელად. [redacted] [redacted], [redacted] ზე ძალადობის დროს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მის პროფესიულ, ჟურნალისტურ საქმიანობას და აღნიშნული საქმიანობის გამო მიმართავდნენ უცენზურო სიტყვებით.[3] ამასთან, [redacted], განხორციელებული ძალადობის შემდგომ, დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა [redacted], რა დროსაც ამ უკანასკნელს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.[4]

ბრალდებულები არ უარყოფდნენ დაზარალებულისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, თუმცა კონფლიქტს ყოფით ნიადაგს უკავშირებდნენ,[5] რაც სასამართლომ არ გაიზიარა საქმის გარემოებებთან მრავალი არსებითი წინააღმდეგობის გამო.[6] სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ბრალდებულების ქმედებაში შეუწყნარებლობის ნიშანი ჟურნალისტური საქმიანობის გამო იკვეთება.[7]

სასჯელისა და სხვა ღონისძიებების დასაბუთებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით ბრალდებულების პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს მათ მიერ ქმედების ჩადენა მთვრალ მდგომარეობაში, ხოლო პასუხიმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბრალდებულები ხასიათდებიან დადებითად, საქმეში არსებული მტკიცებულებები მათი წარსული ცხოვრების უარყოფითად შეფასების საშუალებას არ იძლევა.[8] სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროებისა და მათ მიერ განხორციელებული ქმედებების გათვალისწინებით, როდესაც აღნიშნულმა დანაშაულმა ზიანი მიაყენა არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ ჟურნალისტურ საზოგადოებას, სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი სასჯელის სახე (ჯარიმა/შინაპატიმრობა) ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.[9]

სასამართლომ მიუთითა, რომ სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს,[10] ქმედების განხორციელების

---

[3] იხ. განაჩენის 2.1. პ.
[4] იხ. განაჩენის 2.2. პ.
[5] იხ. განაჩენის 3.26-3.28 პუნქტები.
[6] იხ. განაჩენის 3.30. პ.
[7] იხ. განაჩენის 3.33. პ.
[8] იხ. განაჩენის 5.5. პ.
[9] იხ. განაჩენის 5.7. პ.
[10] კერძოდ, რომ მათ ჩაიდინეს ადამიანის დევნა მისი პროფესიული საქმიანობის გამო, ხოლო [redacted] ასევე ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა.

სახესა და ხერხს,[11] მათ სურვილს, დაზარალებულისთვის დარტყმის განხორციელებით მიეყენებინათ ფიზიკური ტკივილი და სხეულის დაზიანება, პირად და ეკონომიკურ პირობებს,[12] დანაშაულის ჩადენის მოტივს/მიზანს (დაზარალებულის პროფესიული საქმიანობის გამო შურისძიება, დაზარალებულისთვის ტკივილის მიყენება) და მიიჩნია, რომ მათ მიმართ დევნის ეპიზოდში სასჯელის ძირითად სახედ გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სიცოცხლის მოსპობის მუქარის ეპიზოდში [redacted] მიმართ - ჯარიმა.[13]

სასამართლომ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია ასევე ყურადღების გამახვილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლზე და ამ მუხლით სასჯელის დანიშვნის წესზე, კერძოდ:

საქართველოს სსკ-ს 53[1] მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მიხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე, ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი.[14]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მართალია გამოიყენა სასჯელის მკაცრი სახე - თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, ამასთანავე სასჯელის ზომად განსაზღვრა მინიმალური სასჯელი - 6 თვე და მიიჩნია, რომ ეს ზომა ხელს შეუწყობს ბრალდებულების რესოციალიზაციას

---

[11] კერძოდ, რომ ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ დაზარალებულს სხეულის სხვადასხვა მიდამოში, ეძახდნენ პროვოკატორ ჟურნალისტს და იგინებოდნენ იმ ტელევიზიის მისამართით, რომელშიც დაზარალებული მუშაობდა, ხოლო [redacted] დაზარალებულს , ასევე დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

[12] ბრალდებულ[redacted]ს აქვს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა.

[13] იხ. განაჩენის 5.6. პ.

[14] იხ. განაჩენის 5.10. პ.

საზოგადოებში და ისინი შეძლებენ საზოგადოებას დაუბრუნდნენ, როგორც სრულუფლებიანი წევრები, რომლებიც თავიანთი ქცევით დაადასტურებენ გამოსწორებას.[15]

სამართლებრივი დასაბუთება

- *ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის დაცვის მიზნები*

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[16] აღნიშნული უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[18] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[19]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება თუ მიღება, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის, აგრეთვე ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების გზით.[20] გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[21] ასეთ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები (რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა), აგრეთვე ელექტრონული და ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.[22]

გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილად რეალიზაციის თვალსაზრისით, დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის სასიცოცხლო როლს არაერთხელ გაუსვა ხაზი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.[23] აღნიშნულს განაპირობებს პრესის

---

[15] იხ. განაჩენის 5.9. ბ.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23.

[17] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

[18] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

[19] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

[20] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3cxa2Sr > [06.10.2021].

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე *„მპს სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ*", II.პარ.56.

[22] იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 126; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Axel Springer Ag v. Germany*, პარ. 79; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Bladet*

ფუნქცია, გაავრცელოს საჯარო ინტერესს მიკუთვნებული ინფორმაცია და იდეები,[24] რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[25] მსგავსი საზედამხედველო ფუნქციის („watchdog" ფუნქცია) განხორციელებით, მედია ხელს უწყობს ხელისუფლების ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებით ბოჭვას.

სწორედ ამიტომ, გაერო,[26] ეუთო,[27] ევროპის საბჭო[28] და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს არაერთ ვალდებულებას უდგენენ მედიის წარმომადგენლებისთვის უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, რომელშიც მათ დაუცველობისა და დაბრკოლებებისგან თავისუფალი მოქმედების საშუალება ექნებათ.

კერძოდ, ხელისუფლებას ეკისრება, გაიღოს განსაკუთრებული ძალისხმევა ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების პრევენციისთვის, ხოლო მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვა, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა და დაზარალებულთა წვდომა უფლების აღდგენის სათანადო საშუალებებზე.[29] აღნიშნული ზომების სრულფასოვნად გატარება წარმოადგენს დაუსჯელობის გარემოს შექმნის თავიდან აცილების ან/და მისი დასრულების უმთავრეს წინაპირობას.

Tromsø and Stensaas v. Norway, პარ. 59; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *the Sunday Times v. The United Kingdom* (No. 2), პარ. 50.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, პარ. 165.

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II, პ.26

[26] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 45/18, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება", A/HRC/RES/45/18, 12 ოქტომბერი 2020, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3oHhtjX > [06.10.2021]; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 74/157, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება და დაუსჯელობის საკითხი", A/RES/74/157, 23 იანვარი 2020, < https://bit.ly/3Bbe6Fb > [06.10.2021].

[27] ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება № 3/18, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება", MC.DEC/3/18, 7 დეკემბერი 2018, მილანი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3oD8dxe > [06.10.2021].

[28] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ჟურნალისტებისა და სხვა მედია აქტორების უსაფრთხოების შესახებ, 13 აპრილი 2016, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3mrIyVm > [06.10.2021]; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2317 (2020), მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტთა დაცულობასთან დაკავშირებული საფრთხეები ევროპაში, 28 იანვარი 2020, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3FmPs6X > [06.10.2021].

[29] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 45/18, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება", ნაწილი 10 (b) და 10 (d); გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 74/157, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება და დაუსჯელობის საკითხი", მე-4, მე-9 და მე-10 ნაწილები; ეუთოს მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება № 3/18, „ჟურნალისტთა უსაფრთხოება", ნაწილი 6; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2016)4 ჟურნალისტებისა და სხვა მედია აქტორების უსაფრთხოების შესახებ, 17-27 ნაწილები; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2317 (2020), მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტთა დაცულობასთან დაკავშირებული საფრთხეები ევროპაში, ნაწილი 5.2.

- *სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის დანიშვნის პრინციპები*

ჩამოთვლილი მიზნების მიღწევის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია სასამართლოს მიდგომა იმ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, რომლებშიც ჟურნალისტები დაზარალებულ მხარეს წარმოადგენენ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის მოტივი პირდაპირ მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

სწორედ ამ მიდგომამ განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსის 53^1-ე მუხლში 2018 წლის 30 ნოემბერს ცვლილების შეტანა, რომელმაც სასჯელის უფრო მაღალი ზღვარი დააწესა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში.

ცხადია, რომ ამ მუხლში ცვლილებების განხორციელების მიზანი სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის გატარება იყო ისეთი კატეგორიის დანაშაულების მიმართ, რომლებსაც ამა თუ იმ ნიშნით სიძულვილის მოტივი უდევს საფუძვლად.

მიღებული ცვლილების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 53^1-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების[30] არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.[31]

მითითებული მუხლის მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XI თავში არსებული სხვა მუხლებით დადგენილია ის წესები, რომელთა მიხედვითაც თითოეული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას უნდა ხელმძღვანელობდეს. მათი ბუნება, საერთო ჯამში, ზოგადია და მოსამართლეებს სასჯელის დანიშვნის ეტაპზე საკმაოდ ფართო ლავირების შესაძლებლობას უტოვებს.

ამ პირობებში მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული იყოს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი, რომლის თანახმადაც, პირისათვის დანიშნული სასჯელი ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

---

[30] დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ან დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

[31] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 53^1-ე, ნაწ. მე-3.

სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს დანაშაულის ჩამდენისთვის ისეთი სასჯელის დანიშვნას, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რასაც სასჯელი ისახავს. სასჯელის მიზნების მიღწევის საშუალება მხოლოდ პროპორციული სასჯელია. როდესაც სასჯელის პროპორციულობაზეა საუბარი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: ჩადენილი დანაშაულის პროპორციული არის თუ არა სასჯელის ის სახე და ზომა, რომელიც დამნაშავეს დაენიშნება. ე. ი. გასათვალისწინებელია დანაშაულის სიმძიმე და ამის საფუძველზე უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული: რა სახის და რა ზომის სასჯელი დაენიშნოს დამნაშავეს. დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინება პროპორციული სასჯელის დასანიშნად აუცილებელია, მაგრამ ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები სხვა ფაქტორებიც, რაც დანაშაულის პრევენციისთვის აუცილებელია.

დანიშნული სასჯელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნებს და არ ქმნიდეს ზედმეტად ლმობიერი ან პირიქით – ზედმეტად მკაცრი განსჯის შთაბეჭდილებას. ერთის მხრივ, სასჯელის პროპორციულობა შეიძლება დაირღვეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში, როცა მცირე მნიშვნელობის გამო სასამართლო მას მძიმე სასჯელს დაუნიშნავს, მეორეს მხრივ, ზედმეტად ლოიალური მიდგომა და ჩადენილი ქმედების საპასუხოდ არაადეკვატურად მცირე სასჯელის დანიშვნა დაზარალებულის ინტერესებს ლახავს, რაც პროპორციულობის პრინციპის გარდა, სასჯელის სამართლიანობის პრინციპსაც ეწინააღმდეგება.

სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველივე წინადადებაში: „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს“, ხოლო სასჯელი სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების ორგანო დამნაშავეს მას დაუნიშნავს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით.

- *წინამდებარე საქმის ანალიზი*

მოცემულ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლომ მართალია იმსჯელა ბრალდებულების პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე, ასევე, ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათზე, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხზე, ბრალდებულების ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანზე, და გადაწყვიტა, რომ ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა გამოყენებულიყო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, რადგანაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნებს, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, გამოიყენა ყველაზე ლოიალური დამოკიდებულება საპატიმრო სასჯელის ზომის განსაზღვრისას. სასამართლომ განმარტა, რომ დანიშნული სასჯელის ზომა სრულად შეესაბამება

სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს (სასჯელის მიზნებს).[32]

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე. მაგალითად, მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილი იყო დაზარალებულის მცირეწლოვანი შვილისა და მეუღლის თანდასწრებით, რაც ჩვეულებრივზე უფრო მაღალი ზიანის ხარისხზე მიუთითებს.[33] ასევე, მხედველობაში არ მიიღო ბრალდებულების დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ. ბრალდებულები მართალია ადასტურებდნენ [redacted] ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, თუმცა უარყოფდნენ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მისი პროფესიული მოღვაწეობის, ჟურნალისტური საქმიანობის გამო მოხდა და ამტკიცებდნენ რომ კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე დაიწყო. როგორც სასამართლომ აღინიშნა, ბრალდებულების მიერ მიცემულმა ჩვენებებმა უტყუარობის სტანდარტი ვერ დააკმაყოფილა. შესაბამისად, მათ სრულად არ აღიარეს ჩადენილი დანაშაული და არ ითანამშრომლეს სამართალდამცავ უწყებებთან, ასევე არ მიაწოდეს სასამართლოს სწორი ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა პროპორციულ სასჯელად მიიჩნია და განმარტა, რომ გამოყენებული სასჯელის ზომა სრულ შესაბამისობაშია სასჯელის მიზნებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი თანაბრად და უპირობოდ უნდა პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ სასჯელის ყველა მიზანს. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამართლიანობის აღდგენა სხვა არაფერია, თუ არა დაზარალებულების სამართლიანი დაკმაყოფილება მსჯავრდებულისათვის ადეკვატური, სამართლიანი სასჯელის განსაზღვრით.[34]

მოცემულ შემთხვევაში კი, გამოყენებული სასჯელი დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ცალსახად არაპროპორციულია. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმე გვაქვს ჟურნალისტის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს დამატებით ვალდებულებებს აკისრებს. დანიშნული სასჯელის ოდენობა ვერ გახდის შესაძლებელს არა მხოლოდ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის, არამედ სამართლიანობის აღდგენის კუთხითაც.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ თავად სსკ-ის 156-ე მუხლი დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულია და ქმედების შემადგენლობა თავის თავში მოიცავს რაიმე ნიშნით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, და ამავდროულად, ამ ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელი იწყება 6 თვიდან, ამ ქმედების შეფასება სისხლის

---

[32] იხ. განაჩენი, პ. 5.9.

[33] უშანგი ბახტაძე, „სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები" (სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა), 5.4. პ., ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasjelis-danishvnisas-gasatvaliswinebeli-garemoebebi.pdf

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 ივლისის №52ა3-20 განაჩენი.

სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის სულისკვეთების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს კანონშესაბამისად. სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის შინაარსი სწორედ იმას გულისხმობს, რომ კანონმდებლის ნება დისკრიმინაციულ დანაშაულთან დაკავშირებით სასჯელის მინიმალურ ვადაზე სულ მცირე 1 წლით უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენებას მოითხოვს.

ამრიგად, მოსამართლემ არასწორად განმარტა სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის შინაარსი და სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღო წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, კონკრეტული მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადაზე სულ მცირე 1 წლით უფრო მაღალი სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მკაცრად დასჯის სულისკვეთების უგულვებელყოფით, მოსამართლის მიერ მსჯავრდებულთათვის საპატიმრო სასჯელის მინიმალური ოდენობით დანიშვნა არასამართლიანია და არღვევს სისხლისსამართლებრივი ნორმის დაცვის ობიექტის ინტერესებს.

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე საქმემ შესაძლოა გავლენა იქონიოს ეროვნულ დონეზე გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, რადგან ჟურნალისტური საქმიანობის დაცვის პოზიტიური ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება, თუკი საპატიმრო სასჯელის ზომა, დამამძიმებელი გარემოებების არსებობის მიუხედავად, იქნება ყველაზე მსუბუქი, რაც წინააღმდეგობაში მოვა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის პრინციპებთან.

ამასთანავე, შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მიმართ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და ამ მიმართულებით სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით, მოცემული საქმის ფარგლებში სასჯელის სწორად დანიშვნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ვიმედოვნებ, თბილისის სააპელაციო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს მოცემულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც მსჯავრდებულების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55–ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.